სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

# პროექტის ინიციირების, მოწონებისა და პარტნიორთა შერჩევის წესი

## პროექტის ინიციირების, მოწონებისა და პარტნიორთა შერჩევის წესი

### მუხლი 1 . რეგულირების სფერო

პროექტის ინიციირების, მოწონებისა და პარტნიორთა შერჩევის წესი (შემდგომში „წესი“ ) განსაზღვრავს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში “ (შემდგომში „ფონდი“ ) პროექტების იდენტიფირების, ინიციირების, მოწონების, შეფასების, დამტკიცებისა და პარტნიორთა შერჩევის წესს.

### მუხლი 2. პროექტის იდენტიფიცირება

2.1. პროექტის იდენტიფიცირებას ახორციელებს ფონდი ან ფონდის აქციონერი. პროექტის იდენტიფიცირება შეიძლება ასევე განხორციელდეს ინვესტორის მიერ საინვესტიციო შეთავაზების ფარგლებში.

2.2 პროექტის იდენტიფიცირება და მომზადება ხორციელდება ამ წესისა და ფონდში მოქმედი სხვა რეგულაციებისა და ფონდის სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

### მუხლი 3. პროექტის ინიციირება, მომზადება და მოწონება

3.1 . პროექტის ინიციირებას ახორციელებს ფონდი ან ფონდის აქციონერი.

3.2 პროექტის იდენტიფიცირების შემდეგ პროექტების მართვის დირექტორი ან პროექტების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი ამზადებს პროექტის კონცეფციას ფონდში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და მას განსახილველად წარუდგენს მმართველ საბჭოს.

3.3 ფონდის მმართველი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროექტის მომზადების დაწყების ან მასზე უარის თქმის შესახებ. საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) პროექტის ენერგეტიკული ან/და სტრატეგიული მნიშვნელობა;

ბ) პროექტის ეკონომიკური გავლენის წინასწარი შეფასება;

გ) პროექტის განსახორციელებლად ფინანსების ხელმისაწვდომობა;

დ) იმ ფისკალური რისკების შეფასება, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს პროექტმა.

ე) პროექტში მონაწილე პირების გამოცდილება და ფინანსური მდგრადობა;

ვ) პროექტების რისკების შეფასება

3.4 მმართველი საბჭოს მიერ პროექტის კონცეფციის მოწონების შემთხვევაში პროექტების მართვის დირექტორი ან/და პროექტების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი იწყებს პროექტის შეფასების მოსამზადებელ სამუშაოებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ფონდის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულთა ჩართულობას.

3.5 პროექტის შეფასების მომზადებისას უნდა შეფასდეს პროექტის ღირებულება და მისი განხორციელების მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური შედეგები; ფონდის თანამონაწილეობის შემთხვევაში ფონდის წილობრივი მონაწილეობის ხელმისაწვდომობა და სხვა საკითხები, რომელიც გათვალისწინებულია პროექტის აღწერის საბოლოო პრეზენტაციით.

3.6 ფონდის მმართველი საბჭო პროექტის აღწერის საბოლოო პრეზენტაციის და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროექტის მოწონების, პროექტის მოწონებაზე უარის თქმის ან პროექტის მოდიფიკაციის შესახებ.

3.7 **პროექტის აღწერის საბოლოო პრეზენტაცია** უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროექტის ადგილმდებარეობა;

ბ) ტექნოლოგიის მოკლე აღწერილობა;

გ) გენერაციის პირველადი შეფასება, რომელიც უნდა მოიცავდეს ყოველთვიურ ჩაშლას.

დ) ქსელთან მიერთების პირველადი სქემა (მანძილი მიერთების ქვესადგურამდე);

ე) პროექტისთვის საჭირო მიწების სტატუსების (სახელმწიფო/კერძო) მოკლე ანალიზი;

ვ) პირველადი ხარჯთაღრიცხვა და ეკონომიკური შეფასება;

ზ) პროექტის ფინანსური მოდელიდან:

ზ.ა) Project IRR
ზ.ბ) Equity IRR
ზ.გ) NPV
ზ.დ) Payback
ზ.ე) DSCR

თ) პროექტების მართვის დეპარტამენტის რეკომენდაციებს;

**მუხლი 4 საინიციატივო შეთავაზება**

4.1 კერძო ინიციატორს უფლება აქვს, მოამზადოს და ფონდს წარუდგინოს საინიციატივო შეთავაზება.

4.2 საინიციატივო შეთავაზება წარდგენილი უნდა იქნეს ამ წესისა და ფონდში მოქმედი სხვა რეგულაციების გათვალისწინებით.

4.3 ფონდის პროექტების მართვის დირექტორი ან/და პროექტების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მისი ინიციირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას  და წარდგენას ფონდის მმართველი საბჭოს წინაშე.

4.4 ფონდის ან აქციონერის მიერ იდენტიფიცირებული და საინიციატივო შეთავაზების გზით იდენტიფიცირებული პროექტების განხილვისა და მოწონების პროცედურა იდენტურია.

**მუხლი 5** გადაწყვეტილების მიღების მინიმალური კრიტერიუმები:

- დადებითი NPV (Net Present Value);
- ინვესტორის მიერ მოძიებულ პროექტში ფონდის თანამონაწილეობის შემთხვევაში ყურადღება ენიჭება ინვესტორის გამოცდილებას.

**მუხლი 6** პროექტის განხორციელების გეგმა.

6.1. აქციონერის მიერ, პროექტის აღწერის საბოლოო პრეზენტაციის მოწონების შემთხვევაში, მზადდება Formal project implementation plan, რომელშიც არის მოცემული თითოეული ინდიკატორის შესახებ დეტალურ ინფორმაცია. ყველა პროექტისთვის მზადდება ცალკე Formal project implementation plan,  შესაბამისი აქტივობების გასაწერად როგორიცაა: ბიუჯეტის დამტკიცების წესი, შესყიდვების გეგმის მომზადებისა და მონიტორინგის წესი, პროექტის ტექნოლოგიის მიხედვით ძირითადი KPI-ების შემუშავებისა და მონიტორინგის წესი.

6.2 აქციონერის მიერ, პროექტის აღწერის საბოლოო პრეზენტაციის მოწონების შემთხვევაში, განისაზღვრება პასუხისმგებელი პირების ან/და პარტნიორების ფუნქციები, მზადდება პროექტის განხორციელების შედეგად მისაღები სარგებლის ანალიზი. აღნიშნულ ეტაპზე, აგრეთვე ფასდება პროექტთან დაკავშირებული შესაძლო რისკები, აღნიშნული რისკების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა და განისაზღვრება პროექტის მომზადებისთვის ჩასატარებელი კვლევების პირველადი ჩამონათვალი.

**მუხლი 7** მონაცემთა ხარისხი

7.1 ინიციირებისა და მოწონების პროცესში, მონაცემთა ხარისხი მნიშვნელოვანია. მონაცემების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს, როგორიცაა ვალიდურობა, სანდოობა, დროულობა, სიზუსტე და სისრულე. მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ამ მონაცემების ხარისხი.

**მუხლი 8. პარტნიორის  შერჩევის წესი და შერჩევის პროცესის სახეები**

8.1 ფონდი პროექტს ახორციელებს დამოუკიდებლად ან პარტნიორთან ერთად.

8.2. პროექტის განსახორციელებლად ფონდი უფლებამოსილია შეარჩიოს პარტნიორი, იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ არის ინიციირებული საინვესტიციო შეთავაზების ფარგლებში.

8.2 . პარტნიორის  შესარჩევად გამოცხადებული შერჩევის პროცესი არის საჯარო და ღია შერჩევის პროცესის მონაწილისთვის, რომელიც აკმაყოფილებს შერჩევის პროცესისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

**მუხლი 9.  ინვესტორის შერჩევის  პროცესის დოკუმენტაცია, შერჩევის კრიტერიუმები, შესარჩევი კომისია**

9.1. პარტნიორის  შერჩევის პროცესის დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ფონდის  მიერ შერჩევის პროცესის განაცხადის მოსამზადებლად და წარსადგენად საჭირო ინფორმაციას, აგრეთვე პარტნიორის შერჩევის კრიტერიუმებს, პროცედურებს და შესაბამის ვადებს.

9.2  ფონდს უფლება აქვს, შეიტანოს ცვლილება პარტნიორის შერჩევის პროცესის დოკუმენტაციაში, ასეთ შემთხვევაში შერჩევის პროცესის განაცხადისა და დოკუმენტაციის გაცნობის ვადა გრძელდება შერჩევის პროცესის გამოცხადებიდან შესაბამისი ცვლილების შეტანამდე გასული ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა, მიზნად ისახავს ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას ან დაზუსტებას.

9.3 პარტნიორის შერჩევის პროცესის დოკუმენტაციის მოთხოვნები, მასში ცვლილების შეტანის და მისი გამოქვეყნების წესი, აგრეთვე შერჩევის პროცესის საკვალიფიკაციო ეტაპის მოთხოვნებისა და შერჩევის პროცესის ფარგლებში წინადადებების შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია განისაზღვრება ფონდის მიერ.

9.4 პარტნიორის შერჩევის პროცესის ფარგლებში წინადადებების შეფასების კრიტერიუმები ისე უნდა განისაზღვროს, რომ კონკურენციის შეზღუდვა არ გამოიწვიოს. წინადადებების შეფასების კრიტერიუმებად შეიძლება განისაზღვროს პროექტის განხორციელების ვადა, განსახორციელებელი დაფინანსების ოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს/გასაწევი მომსახურების ხარისხი ან/და სხვა კრიტერიუმები, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ან აღნიშნული კრიტერიუმების კომბინაცია. პროექტისთვის წინადადებების შეფასების კრიტერიუმებსა და წესებს განსაზღვრავს ფონდი.

9.5  ფონდი ქმნის შესარჩევ კომისიას. შესარჩევი კომისიის წევრებად ინიშნებიან: ფონდში დასაქმებული პირები,  აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა მოწვეული პირებიც. შესარჩევ კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მიწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის ექსპერტები და სპეციალისტები.

9.6 შესარჩევი კომისია აფასებს წარდგენილ განაცხადებს. შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება ფონდის მიერ.

9.7 პარტნიორის შერჩევის პროცესის განაცხადების შეფასებისა და ეტაპების განხორციელების შემდეგ ფონდი საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულების შეთანხმებულ/მოლაპარაკებულ პირობებს წარუდგენს ფონდის აქციონერს.

9.8 პარტნიორის შერჩევის პროცესის შეფასების შედეგები და საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულების შეთანხმებული / მოლაპარაკებული პირობები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნასთან ერთად (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), განსახილველად წარედგინება ფონდის აქციონერს.

**მუხლი 10. პარტნიორის შერჩევის პროცესის ეტაპები**

10.1 . პარტნიორის შერჩევის პროცესის ძირითადი ეტაპებია:

ა) შერჩევის პროცესის გამოცხადება;

ბ) შერჩევის პროცესის მონაწილეთა მიერ საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის წარდგენა;

გ) შერჩევის პროცესის მონაწილეთა საკვალიფიკაციო შეფასება;

დ) წინადადებების წარსადგენად მოწვევა;

ე) შერჩევის პროცესის მონაწილეთა მიერ წინადადებების წარდგენა;

ვ) შერჩევის პროცესის ფარგლებში წინადადებების შეფასება;

ზ) მოკლე სიის შერჩევა ან/და გამარჯვებული მონაწილის გამოვლენა;

თ) შერჩევის პროცესის მონაწილეებთან, მოკლე სიით განსაზღვრულ ან გამარჯვებულ მონაწილესთან საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოება;

ი) საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება.

10.2 შერჩევის პროცესის მონაწილეს არ აქვს ერთი და იმავე შერჩევის პროცესისთვის ერთზე მეტი განაცხადის ან წინადადების წარდგენის უფლება. შერჩევის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, შეცვალოს საკუთარი განაცხადი ან წინადადება შესარჩევი კომისიისთვის მისი წარდგენის ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს. შერჩევის პროცესის მონაწილეს ასევე უფლება აქვს, გამარჯვებულის გამოცხადებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე. აღნიშნული უარი არ ზღუდავს შესაბამისი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებიდან, მათ შორის, საბანკო გარანტიებიდან, გამომდინარე უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის უფლებებს.

## მუხლი 11. საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება

11.1 . პარტნიორის შერჩევის პროცესში გამარჯვებულად ცხადდება შერჩევის პროცესის მონაწილე, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (მათი არსებობის შემთხვევაში) და რომლის წინადადება, შესარჩევი კომისიისა და აქციონერის შეფასებით, შეიცავს საუკეთესო პირობებს სხვა მონაწილეთა წინადადებებთან შედარებით.

11.2 პარტნიორის შერჩევის პროცესში გამარჯვებულ მონაწილესთან საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულება იდება შერჩევის პროცესის დოკუმენტაციითა და ფონდის რეგულაციებით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად.

## მუხლი 12. საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები

12.1 საპარტნიორო თანამშრომლობის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ძირითად პირობებს, მათ შორის: საპარტნიორო ხელშეკრულების საგანს, ერთობლივი ფინანსური რესურსების ტიპს, ოდენობასა და ფორმას; ისეთი ორგანიზაციული ცვლილების განხორციელების წესს, რომლისთვისაც პარტნიორს ფონდის თანხმობა სჭირდება, მათ შორის, კომპანიის პარტნიორის ცვლილებას; პარტნიორის ჩანაცვლების ან ფონდის მიერ კომპანიიდან გასვლის პირობებსა და წესს. მხარეთა შორის უფლებებისა და ვალდებულებების განაწილებისა და გადაცემის წესს (მისი არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების მოქმედების ვადას; ხელმისაწვდომობის ანაზღაურებას/შედეგზე დაფუძნებულ ანაზღაურებას ან/და კერძო პარტნიორისათვის განსახორციელებელ სხვა გადახდებს (მათი არსებობის შემთხვევაში); ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, წესსა და შედეგებს.

12.2 პარტნიორის შერჩევის პროცესის დოკუმენტაციაში შესაძლებელია განმარტების ან/და დამატების შეტანა, მათ შორის, შერჩევის პროცესის მონაწილეთა საკვალიფიკაციო შეფასების ეტაპზე მათ მიერ წარდგენილი შერჩევის პროცესის განაცხადების გათვალისწინებით.

12.3 . აკრძალულია პარტნიორის შერჩევის პროცესის ეტაპზე იმ პირის დაშვება, რომელიც ნასამართლევია ტერორიზმის დაფინანსებისათვის, თაღლითობისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის.

12.4. პარტნიორის შერჩევის პროცესის ეტაპზე პირის დაუშვებლობის დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება ფონდის მიერ.